

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო

ქუთაისის უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ეკონომიკის დეპარტამენტი



დამტკიცებულია აკადემური საბჭოს სხდომაზე
ოქმი № 1 “7 ” “თებერვალი” 2011 წელი

რექტორი:

ლ. ქელბაქიანი

ს ა დ ო ქ ტ ო რ ო პ რ ო გ რ ა მ ა

ეკონომიკა - 07.01.

ქუთაისი 2011

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

ეკონომიკა - 07.01.

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:

დოქტორანტურა

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:

აკადემიური

სწავლების ენა:

ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

ეკონომიკის დოქტორი

პროგრამის მოცულობა კრედიტებით:

სასწავლო კომპონენტი - 60 კრედიტი

კვლევითი კომპონენტი - 120 კრედიტი

სულ - 180 კრედიტი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მინიმალური მოთხოვნებია: მაგისტრის ხარისხი, ან მასთან გათანაბრებული ერთსაფეხურიანი სწავლების დიპლომი ეკონომიკაში ან ბიზნესის ადმინისტრირებაში, აგრეთვე ნებისმიერ ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებებში (თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება იმ კონკურსანტებს, რომელთაც ექნებათ სამეცნიერო პუბლიკაციები ეკონომიკის ან ბიზნესის თემატიკაზე, სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციების და ფორუმების მონაწილეებს (სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დიპლომი და შრომების კრებული სხვა საბუთებთან ერთად უნდა იყოს წარმოდგენილი); ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ენის ცოდნა B2 დონეზე;

ამასთან, კონკრეტული პირობები და პროგრამის გავლის წესები განსაზღვრულია „ქუთაისის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულების“ მოთხოვნათა შესაბამისად (იხ. www.unik.edu.ge)

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

პროგრამის მიზანი:

წარმოდგენილი პროგრამის შემუშავების განპირობებულია საქართველოს ეკონომიკის წინაშე მდგომი ისეთი აქტუალური პრობლემებით, როგორიცაა:

- მდგრადი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა;
- არაიდეოლოგიზირებული მაღალკვალიფიციური მეცნიერ-მკვლევარის ჩამოყალიბება;
- ფისკალური სისტემის ეფექტიანობის ამაღლება, ეკონომიკის სტრუქტურული ტრანსფორმაციის პროცესში მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა;
- რეგიონული პრობლემების მოსაგვარებლად ახალი მოდელების შემუშავებაში მონაწილეობა;
- პოლიტიკური და სამეურნეო მოვლენების გამოვლენა და პროგნოზირება;

- სოციალურ-ეკონომიკურ სისტემასთან და ინსტიტუტებთან, ეროვნულ და რეგიონულ ეკონომიკებთან დაკავშირებული ფაქტების, პროცესებისა და ტენდენციების ღრმა ანალიზი ისტორიული რეტროსპექტივის გათვალისწინებით;
- სოციალურ-ეკონომიკური სფეროსათვის დამახასიათებელი ფაქტების, ფორმირების, ევოლუციის და ტრანსფორმაციის ძირითადი პრობლემატიკის გაშუქება;
- ფისკალური დეცენტრალიზაციის მოდელების დამუშავება;
- მსოფლიო ეკონომიკური ტენდენციების გათვალისწინებით საქართველოს როლისა და ადგილის განსაზღვრა გლობალიზაციის პირობებში;
- საქართველოში ჯერ კიდევ ფორმირებაში მყოფი მაკროეკონომიკური და რეგიონული სკოლები, ამ სფეროში საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან სუსტი კონტაქტები;

რამდენადაც დოქტორანტურა ითვალისწინებს ეკონომიკური სფეროს კვლევას პროფესიულ დონეზე, სადოქტორო პროგრამის მიზანია დოქტორანტის მომზადება როგორც აკადემიური, ისე ბიზნეს კარიერისათვის. დოქტორანტი უნდა ახდენდეს ახალი და ორიგინალური ცოდნის დემონსტრირებას.

ძირითადი მიზანი მიიღწევა შემდეგ ამოცანათა გადაჭრით:

- დოქტორანტების მიერ მეცნიერული კვლევის თანამედროვე მეთოდების და ხერხების დაუფლება;
- დოქტორანტებისათვის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევების განხორციელების შესაძლებლობების გაღრმავება და სამეცნიერო-ანალიტიკური უნარის განვითარება;
- კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარება;
- პედაგოგიური მუშაობის თეორიული ასპექტების გაცნობა და სწავლების პრაქტიკული გამოცდილების დაგროვება;
- თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისა და პრობლემების დაძლევის შესაძლებლობების განვითარება;
- სამეცნიერო გამოცემებთან მეცნიერული კონტაქტების დამყარების, სამეცნიერო კონფერენციებში, ფორუმებში და ა.შ. მონაწილეობის უნარის განვითარება;
- პრეზენტაციის და კომუნიკაციის ხელოვნების დახვეწა და სრულყოფა;

აღნიშნული ამოცანების გადაჭრის შედეგად დოქტორანტებისათვის სწავლის შედეგებად მოიაზრება:

ა) ცოდნა და გაცნობიერება

- ფართო, ღრმა და სისტემური ცოდნა ეკონომიკაში, რომელიც დარგობრივ სფეროში რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე მუშაობის საშუალებას იძლევა;
- ეკონომიკური პოლიტიკის მეცნიერული შეფასება და პროგნოზირება, საჯარო წარმოდგენა, მათი მკაფიო დასაბუთება შესაბამისი ცოდნითა და ლოგიკით;
- ეკონომიკის სტრუქტურული ტრანსფორმაციის პროცესში მაკროეკონომიკური სტაბილურობის მისაღწევად აუცილებელი გარემო პირობების განსაზღვრა;
- სხვადასხვა თეორიებისა და ეკონომიკური მიმდინარეობების მიხედვით არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერება.

ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

- დამოუკიდებელი დაგეგმვა და მონაწილეობა მაკროეკონომიკურ (რეგიონული განვითარების) პროგრამებში და პროექტებში, ფირმის სტრატეგიის შემუშავებაში;
- ბიზნესების საქმიანობაზე მაკრო, მიკრო და მეზოეკონომიკური ფაქტორების ზეგავლენის განსაზღვრის და შესაბამისი სტრატეგიების შემუშავების უნარი;
- საკუთარ საქმიანობაში მიკრო, მაკრო და მეზოდონეზე კვლევის ახლებური მეთოდების და მიდგომების გამოყენების უნარი, რაც ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში;

- შესაბამისი ბიბლიოგრაფიული რესურსების, არქივების და სხვა ინფორმაციული წყაროების გამოვლენისა და შეფასების უნარი;

გ) დასკვნის უნარი

- საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმებისა და ეკონომიკური ტენდენციების კრიტიკული ანალიზი, მიღებული შედეგების შეჯერება და სინთეზი, დასკვნის განზოგადება;

- რეგიონული ეკონომიკის დიფერენცირების, გამოთანაბრების პოლიტიკისა და მართვის ეფექტურობის ზრდის შესახებ მეცნიერული დასკვნების განზოგადება;

- მიკრო, მაკრო და მეზოდონეზე პრობლემის გადაჭრისათვის დამოუკიდებლად სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების მიღება.

დ) კომუნიკაციის უნარი

- ეკონომიკაში არსებული ცოდნის ახალ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად, სწორად და გარკვევით წარმოჩენა/მიწოდება;

- კოლეგებთან და მეცნიერთა ფართო წრეებთან, საზოგადოებასთან ეკონომიკურ სფეროში კომუნიკაციის უნარი;

- საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში უცხოურ ენაზე ჩართვის უნარი რისი წინაპირობაც არის ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ენის ცოდნა სათანადო დონეზე ;

ე) სწავლის უნარი

- ეკონომიკურ დისციპლინათა სისტემური ცოდნიდან გამომდინარე ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა/საქმიანობის და კვლევის პროცესში;

ვ) ღირებულებები

- ეკონომიკის სფეროში იკვლევს ღირებულებათა დამკვიდრების გზებს და მათ დასამკვიდრებლად შეიმუშავებს ინოვაციურ მეთოდებს;

- საქართველოში ჯერ კიდევ ფორმირებაში მყოფი მაკროეკონომიკური და რეგიონული სკოლების განვითარების ხელშეწყობა, ამ სფეროში საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან სუსტი კონტაქტების გაღრმავებაში წვლილის შეტანა.

- იცავს აკადემიური პატიოსნების საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს.

დასაქმების სფერო

სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ ეკონომიკის აკადემიური დოქტორის ხარისხის მქონე პირი მაღალკვალიფიციური მეცნიერ-ეკონომისტია, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ცოდნით და უნარჩვევებით.

ეკონომიკის აკადემიურ დოქტორს წარმატებით შეეძლება მუშაობა:

- ☒ სახელმწიფო სექტორში;
- ☒ ბიზნეს სექტორში;
- ☒ ეკონომიკური პროფილის საერთაშორისო ორგანიზაციებში;
- ☒ სამეწარმეო სექტორში;
- ☒ არასამთავრობო სექტორში;
- ☒ საფინანსო ინსტიტუტებში;
- ☒ კონსალტინგურ ცენტრებში;
- ☒ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში;
- ☒ სამეცნიერო/სამეცნიერო-პრაქტიკულ გამოცემებში;

☒ უმაღლეს სასწავლებლებში.

სახელმწიფო სექტორიდან ეკონომიკის აკადემიური დოქტორის დასაქმების სარეკომენდაციო სტრუქტურებად შეიძლება იქნეს განხილული:

- ☒ საქართველოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (მ.შ. სამინისტროს რეგიონული რგოლები);
- ☒ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (მ.შ. სამინისტროს რეგიონული რგოლები);
- ☒ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია;
- ☒ საქართველოს პარლამენტის აპარატი;
- ☒ სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია;
- ☒ საქართველოს ეროვნული ბანკი (მ.შ. რეგიონული რგოლები);
- ☒ საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო და მისი უწყებები;
- ☒ საქართველოს მთავრობის კანცელარია;
- ☒ საქართველოს თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მმართველობის და თვითმმართველობის ორგანოები.

პროგრამის კომპონენტები

1. პროგრამის სასწავლო კომპონენტი - 60 კრედიტი - გულისხმობს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას. მასში შედის:

- სწავლების თანამედროვე მეთოდები - 5 კრედიტი
- ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესის ორგანიზებაში - 3 კრედიტი
- ეკონომიკური კვლევის მეთოდების მოდული, რომელიც აერთიანებს საგნებს:
 - პროგნოსტიკა - 4 კრედიტი
 - ეკონომეტრიკა - 5 კრედიტი
- სხვადასხვა დარგობრივი სასწავლო კურსები - 18 კრედიტი
- პედაგოგიური პრაქტიკა - 10 კრედიტი
- სემინარები - 15 კრედიტი.

სასწავლო კომპონენტით განსაზღვრულია **სასემინარო ნაშრომის** მომზადება. სემინარის ძირითადი მიზანია სადოქტორო დისერტაციის მომზადების ტექნოლოგიის ათვისება-სრულყოფა და დისერტაციის დაცვის პროცესისათვის მომზადება, უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის არეალის გაფართოება, სემინარით განსაზღვრული თემის კრიტიკული გააზრება და ინოვაციური მეთოდებით დამუშავება. დოქტორანტი ვალდებულია სწავლის მანძილზე 3-ჯერ მოამზადოს სასემინარო ნაშრომი. თითოეული სემინარის მოცულობაა 5 კრედიტი.

- სასემინარო ნაშრომის თემა განისაზღვრება სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით;
- დოქტორანტის სასემინარო ნაშრომი არ უნდა იყოს დისერტაციის შემადგენელი ნაწილი;
- სასემინარო ნაშრომი წარედგინება ფაკულტეტის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო ფორუმს, რომელსაც ესწრება და აფასებს დოქტორანტის ხელმძღვანელი და სპეციალურად შექმნილი კომისია.

2. პროგრამის კვლევითი კომპონენტი - 120 კრედიტი. მასში შედის:

- კოლოქვიუმები - 40 კრედიტი (ორი კოლოქვიუმი, მეოთხე და მეხუთე სემესტრებში);
- სამეცნიერო სტატიების პუბლიკაცია, რომლებიც უნდა ასახავდეს თეორიულ ან/და ემპირიული კვლევის დასაბუთებულ შედეგებს და გარკვეული წვლილი შეჰქონდეს მეცნიერების განვითარებაში - 15 კრედიტი (სამი სტატია, თითოეული 5 კრედიტიანი);
- სადისერტაციო ნაშრომის შესრულება და დაცვა - 65 კრედიტი;

- კოლოქვიუმი ითვალისწინებს სადისერტაციო თემის/მისი ცალკეული ნაწილის გარშემო დოქტორანტის მიერ სათანადო მასალის წარმოდგენას და პრეზენტაციას;
- დოქტორანტი ვალდებულია სწავლის მანძილზე 2-ჯერ მოამზადოს და წარმოადგინოს კოლოქვიუმი; თითოეული კოლოქვიუმის მოცულობაა 20 კრედიტი.
- კოლოქვიუმი წარედგინება ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის ფაკულტეტის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო ფორუმს, რომელსაც ესწრება და აფასებს დოქტორანტის ხელმძღვანელი და სპეციალურად შექმნილი კომისია.
- სამეცნიერო სტატია ქვეყნდება რეცენზირებად/რეფერირებად დარგობრივ ჟურნალებში;
- თითოეული სამეცნიერო სტატიის მოცულობაა 5 კრედიტი.
- სადისერტაციო ნაშრომი - მოიცავს 65 კრედიტს

სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა:

	დისციპლინის/აქტივობის დასახელება	კრედიტი
I	საუნივერსიტეტო კურსები და სხვა აქტივობები:	
I.1	სწავლების თანამედროვე მეთოდები	5
I.2	პედაგოგიური პრაქტიკა	10
I.3	სპეციალური სემინარები	15
I.4	ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესის ორგანიზებაში	3
I.5	აკადემიური წერა*	5
	სულ I	33
II	სავალდებულო პროგრამული დისციპლინები	
II.1	მაკროეკონომიკური პოლიტიკა	6
II.2	ეკონომეტრიკა	5
II.2	პროგნოსტიკა	4
	სულ II	15
III	დისერტაციის თემატიკასთან დაკავშირებული საგნები (3 საგანი)**	12
	სულ I+II+III	60
IV	კვლევითი კომპონენტი	
IV.1.	სამეცნიერო ნაშრომების შესრულება-გამოქვეყნება	15
IV.2.	კოლოქვიუმები	40
IV.3	დისერტაციის მომზადება და დაცვა	65
	სულ IV	120
	სულ სასწავლო პროგრამით (I + II + III+IV)	180

შენიშვნები: *პროგრამის დამატებითი კრედიტი ასათვისებლად, ვისაც ბაკალავრიატში

ან მაგისტრატურაში არ გაუვლია აღნიშნული კურსი;

**დგინდება თემის შესაბამისად

დოქტორანტის საათების განაწილება პროგრამით შესასრულებელი აქტივობების მიხედვით

№	აქტივობის დასახელება	პერიოდ- ულობა/ რაოდ-ბა (პროგრ. განმ-ში)	თითოეულის კრედი ტების რ-ბა	საა- თები	საათების განაწილება
1.	სპეციალური სემინარები	3	5	125	სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეხვედრებზე დამუშავებული მასალის პერიოდული წარმოდგენა - 15 სთ.; საჭირო ლიტერატურის მოძიება, წყაროებზე მუშაობა - 20 სთ; მასალების ანალიზი, სისტემატიზაცია, კლასიფიკაცია - 10 სთ; პრობლემის შეცნობა, ძირითადი თემის დაზუსტება - 10 სთ; ნაშრომის დამუშავება - 55 სთ; 2 შუალედური ანგარიში ხელმძღვანელთან - 5 სთ; პრეზენტაციის მომზადება და წარდგენა - 10 სთ.
2.	სამეცნიერო ნაშრომების შესრულება- გამოქვეყნება	3	5	125	კვლევის თემატიკის (მიმართულების შერჩევა) - 2 სთ., უცხოური მასალების მოძიება - 20 სთ., ადგილობრივი მკვლევარების მასალების მოძიება - 20 სთ., ინტერნეტ-რესურსების მოძიება - 20 სთ., მოძიებული მასალების დამუშავება-სისტემატიზაცია-ანალიზი - 25 სთ., ტექსტის გაფორმება სათანადო მოთხოვნების გათვალისწინებით - 20, ხელმძღვანელთან საკონსულტაციო შეხვედრები - 4 სთ., რედაქტირება - 4 სთ., სტატიის რეზიუმეს თარგმნა-გაფორმება - 10 სთ.
3.	კოლოქვიუმები	2	20	500	სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეხვედრებზე დამუშავებული მასალის პერიოდული წარმოდგენა - 80 სთ.; საჭირო ლიტერატურის მოძიება, წყაროებზე მუშაობა - 180 სთ; მასალების ანალიზი, სისტემატიზაცია, კლასიფიკაცია - 100 სთ; პრობლემის შეცნობა, ძირითადი თემის დაზუსტება - 20 სთ; ნაშრომის დამუშავება - 100 სთ; 2 შუალედური ანგარიში ხელმძღვანელთან - 10 სთ; პრეზენტაციის მომზადება და წარდგენა - 10 სთ.
4.	დისერტაციის მომზადება და დაცვა	1	65	1625	მასალების მოძიება, წყაროებზე მუშაობა - 425 სთ., მასალების ანალიზი, სისტემატიზაცია, კლასიფიკაცია - 250 სთ., პრობლემის შეცნობა, საკვლევი მიმართულების გამოვლენა-დაზუსტება - 20 სთ., ძირითად ტექსტზე მუშაობა - 650 სთ., კომუნიკაციის დამყარება უცხოელ მკვლევარებთან - 50 სთ., ძირითადი ტექსტის რედაქტირება - 30 სთ., ავტორეფერატის ქართული ნაწილის მომზადება - 60 სთ., ავტორეფერატის უცხოენოვანი ნაწილის მომზადება - 60

					სთ., საპრეზენტაციო მასალის მომზადება - 25 სთ., გამოსვლის ტექსტის მომზადება - 25 სთ., კონსულტაციები სამეცნიერო ხელმძღვანელთან - 30 სთ.
--	--	--	--	--	--

სწავლების მეთოდები

პროგრამით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევისათვის გამოყენებული იქნება სწავლებისა და სწავლის თანამედროვე მეთოდები, რაც დეტალურად გაწერილია უნივერსიტეტის დიდაქტიკურ კონცეფციაში. დამოუკიდებელი, კონკურენტული და თანამშრომლობითი სწავლების გზით სტუდენტთა ინტერაქციის ორგანიზება, მათი მიზანმიმართული ვარირებით სასწავლო პროცესის დაგეგმვა განაპირობებს მოტივაციის ამაღლებას, ცოდნის ათვისების ეფექტიანობას და სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებას. ამასთან ერთად, სასწავლო პროცესის დაგეგმვაც უფრო მრავალფეროვნად, სახალისოდ, საინტერესოდ (ცოდნის ათვისების ხარისხი, კრიტიკულად გააზრება) და მრავლისმომცველად (უნარ-ჩვევების გამომუშავება, მეტი ინფორმაციის დაფარვა) შეიძლება. ტრადიციული ლექციების კვალდაკვალ გამოყენებულ იქნება პრაქტიკული მეცადინეობები, სამუშაო ჯგუფები, პროექტები, შემთხვევების ანალიზი და სწავლების სხვა აქტიური მეთოდები. გარდა ამისა, დოქტორანტის მომავალი უმაღლესი სკოლის პედაგოგად ჩამოყალიბების ხელშეწყობისათვის გათვალისწინებულია პედაგოგიური პრაქტიკის, როგორც პროგრამის სავალდებულო კომპონენტის გავლა.

უნივერსიტეტი ყოველწლიურად აცხადებს სამეცნიერო პროექტების დასაფინანსებლად კონკურსებს, რაც საშუალებას მისცემს დოქტორანტებს მოიპოვონ დამატებითი დაფინანსება მათ მიერ დაგეგმილი პრაქტიკული კვლევების ჩასატარებლად, ან მონაწილეობა მიიღონ სხვა გამარჯვებული აპლიკანტების კვლევითი პროექტების განხორციელებაში.

დოქტორანტის ცოდნის შეფასების სისტემა:

შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს დოქტორანტის მიერ სასწავლო და კვლევითი კომპონენტებით გათვალისწინებული საუნივერსიტეტო, ზოგადეკონომიკური და სპეციალური დისციპლინების სწავლების შედეგები სადოქტორო პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებით.

შეფასების ძირითადი პრინციპები:

- გამჭვირვალობისა და საჯაროობის პრინციპი - შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. დოქტორანტმა ხელშეკრულების გაფორმების მომენტში უნდა იცოდეს როდის და როგორ შეაფასებენ მის ცოდნას.
- სამართლიანობის პრინციპი - ყველა დოქტორანტის მიერ გამოვლენილი ცოდნის შეფასებისადმი ერთიანი, წინასწარ განსაზღვრული სტანდარტით მიდგომა.

შეფასების სისტემა:

სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებული ცალკეული დისციპლინების/დარგობრივი სასწავლო კურსების შეფასების სისტემა განსაზღვრულია მათივე სილაბუსებით;

პედაგოგიური პრაქტიკის შეფასების სისტემა განსაზღვრულია შესაბამისი დებულებით;

დანარჩენი ქვეკომპონენტების შეფასების სისტემას და პროცედურებს განსაზღვრავს ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „სადოქტორო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შეფასების დებულება“.

სადისერტაციო ნაშრომის შესრულების და დაცვის შეფასება მრავალკომპონენტური ელემენტია. იგი არის 2 ოფიციალური შემფასებლის (დისერტაციის დაცვამდე) და სადისერტაციო კომისიის წევრთა შეფასების (დისერტანტის გამოსვლის და სამეცნიერო დისკუსიის შემდეგ) ჯამი.

სადოქტორო დისერტაციის შეფასება ხდება შემდეგი სისტემის მიხედვით:

- მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი - ფრიადი (summa cum laude) - შესანიშნავი ნაშრომი;
 - მაქსიმალური შეფასების 85 - 90.9% - ძალიან კარგი (magna cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
 - მაქსიმალური შეფასების 81 - 84.9% - კარგი (cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
 - მაქსიმალური შეფასების 71 - 80.9 % - საშუალო (bene) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
 - მაქსიმალური შეფასების 61 - 70.9% - დამაკმაყოფილებელი (rite) - შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
- ზემოთ ჩამოთვლილი შეფასებებიდან ერთ-ერთის მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი;
- მაქსიმალური შეფასების 41-60% - არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;
- აღნიშნული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება;
- მაქსიმალური შეფასების 41% და ნაკლები - სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს აღნიშნული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას;

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ:

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მოიცავს:

- ქუ სამეცნიერო ბიბლიოთეკა;
- ქუ-ის სამეცნიერო-ანალიტიკური ცენტრის წყაროები და რესურსები;
- პროგრამის ხელმძღვანელის და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების პირადი ბიბლიოთეკა;
- ქ. ქუთაისის სამეცნიერო-უნივერსალური ბიბლიოთეკა და სახელმწიფო არქივი;
- Ebscohost ელექტრონული საბიბლიოთეკო ქსელი;
- Cambridge Journals ელექტრონული საბიბლიოთეკო ქსელი;
- ქუ-ს კომპიუტერული ლაბორატორიები.

ლაბორატორიები აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით, რაც დოქტორანტებს მისცემს საშუალებას ისარგებლონ ინტერნეტ-რესურსებით, დაამუშაონ სტატიები და სამეცნიერო ნაშრომები, მოახდინონ საკუთარი სადოქტორო ნაშრომების კომპიუტერული დამუშავება, მოამზადონ და მოაწყონ პრეზენტაციები და ა.შ.

გარდა აღნიშნულისა, ქუ აღჭურვილია საკმარისი სასწავლო კაბინეტებით, საკონფერენციო და სხდომათა დარბაზებით, თანამედროვე კომპიუტერებით, საინფორმაციო საშუალებებზე ხელმისაწვდომობით, რაც განაპირობებს დოქტორანტთა სასწავლო და სამეცნიერო პროცესების სათანადო დონეზე წარმართვას.

პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფენ:

ნიკოლოზ ჩიხლაძე - ე.მ.დ., სრული პროფესორი (პროგრამის ხელმძღვანელი);

იოსებ არჩვაძე - ე.ა.დ., სრული პროფესორი

გოჩა თუთბერიძე - ე.ა.დ., სრული პროფესორი
რევაზ კაკულია - ე.მ.დ., სრული პროფესორი;
გიორგი ღავთაძე - მოწვეული, ე.ა.დ., სრული პროფესორი;
რევაზ ბასარია - ე.მ.დ., ასოცირებული პროფესორი;
აკაკი ბაკურაძე - ე.ა.დ., ასოცირებული პროფესორი;
თეა კორძაძე - ტ.ა.დ., ასოცირებული პროფესორი;
გიორგი ბერძულიშვილი - მოწვეული, პედაგოგიკის აკადემიური დოქტორი;
იაკობ მესხია - მოწვეული, ე.მ.დ., თსუ სრული პროფესორი.

დოქტორანტების მისაღები რაოდენობა

ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ყოველწლიურად 5 დოქტორანტის მიღება.

პროგრამის ხელმძღვანელის, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის და მოწვეული პირების ჩამონათვალი და მათი CV:

პროგრამის ხელმძღვანელი

1. პერსონალური მონაცემები:

სახელი, გვარი: ნიკოლოზ ჩიხლაძე
დაბადების თარიღი: 29/06/1971
დაბადების ადგილი: საქართველო, ქ.ქუთაისი

2. მისამართი: ქუთაისი, ფოთის ქ.№7

3. ტელ: (8231) 4 71 74, 895 30 45 30 (ფიქური)
871 30 45 30 (ფიქური)

4. ელ.ფოსტა: chixi@mail.ru

5. განათლება და სამეცნიერო ხარისხები: ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი

5.1. სამეცნიერო წოდებები: ქუთაისის უნივერსიტეტის სრული პროფესორი

6. უნარ-ჩვევები:

ენები: ქართული მშობლიური
რუსული კარგად
ინგლისური საშუალოდ

კომპიუტერული პროგრამები: Word, Exell, MS-dos Office



7. სამსახურებრივი გამოცდილება:

1993-1996 გაზეთ “ბიზნეს-კურიერის” და “ქუთაისის” ეკონომიკური მიმომხილველი
1994-1998 მართვის, ბიზნესის და სამართლის აკადემიური ცენტრის ქუთაისის ფილიალის, ასისტენტი, მასწავლებელი, დოცენტი, კათედრის გამგე
1997-1998 იმერეთში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის მრჩეველი
1998-2000 საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს იმერეთის მხარის ეკონომიკის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე
2002-2005 ქუთაისის საინჟინრო ინსტიტუტის პრორექტორი
1998-2003 თბილისის ბიზნესის სახელმწიფო ინსტიტუტის ქუთაისის ფილიალი, დოცენტი, კათედრის გამგე
1999-2004 ეკონომიკის სამინისტროს ეკონომიკური და სოციალური პრობლემების ს/კ ინსტიტუტის ქუთაისის რეგიონ. ცენტრის მეცნიერთანამშრომელი

- 2004-2006 ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის მენეჯმენტის კათედრის პროფესორი
- 2004-2006 ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური თეორიის კათედრის პროფესორი
- 16/08/2006 დღემდე ქუთაისის აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სადისერტაციო საბჭოს ეკონომიკის სექციის ხელმძღვანელი (მოწვეულის სტატუსით)
- 2000-დღემდე იმერეთში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციის რეგიონული განვითარების სამსახურის უფროსი
- 2006-დღემდე ქუთაისის უნივერსიტეტის სრული პროფესორი

8. სამეცნიერო შრომები, მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები:

გამოცემული მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები:

1. **გადასახადები, გამოცდილება, პრობლემები**, ქუთაისი, “სარკმელი საქართველოსი”, 1999. (19 ნ. თ.)
2. **ბიუჯეტების ჰარმონიზაციის პრობლემები სახელმწიფოს რეგიონულ პოლიტიკაში**, ქუთაისი, „ქუთაისინფორმი“, 2001, (7 ნ.თ., თანაავტორობით, ავტორის წვლილი 4,5 ნ.თ.)
3. **Региональные проблемы экономических и финансовых отношений (на примере имеретинского региона)**. – Кутаиси, Саркмели Сакартвелოსი, 2003. (19 პ.ლ.)
4. **საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემები**. ქუთაისი, ქუთაისის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი, 2004. (8,5 ნ.თ.)
5. **ჩრდილოვანი ეკონომიკა – რეგიონული ასპექტები**. ქუთაისი, ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2005. (14 ნ.თ.)
6. **ეკონომიკა. სავარჯიშოებისა და ტესტების კრებული**. ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი. 2006. (15 ნ.თ.)
7. **ზოგადი ეკონომიკისი** (ლექციების კურსი). ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი. 2008. (13,5 ნ.თ.)
8. **იმერეთის მხარის ეკონომიკური განვითარების პირობები და პერსპექტივები** (15 ნ.თ, თანაავტორობით, ავტორის წვლილი 7,5 ნ.თ.). აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2009.
9. **“ეკონომიკა და მართლმადიდებლური სწავლება”**. ქუთაისის უნივერსიტეტი. თბ., “ინოვაცია”, 2009. (9 ნ.თ.)

სხვა შრომები, სამეცნიერო სტატიები

9. **ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზოგიერთი აქტუალური საკითხი (იმერეთის რეგიონის მაგალითზე)**.– სამეცნიერო კრებულში “საბაზრო ეკონომიკის ფორმირების და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში”, ტომი V, თბილისი, სერპსკი, 2000, (0,4 ნ.თ., თანაავტორობით, ავტორის წვლილი 0,25 ნ.თ.)
10. **დღგ-ის როლი რეგიონის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში**.– სამეცნიერო კრებულში “საბაზრო ეკონომიკის ფორმირების და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში”, ტომი VI, თბილისი, სერპსკი, 2002, (0,4 ნ.თ.)
11. **Концептуальные вопросы финансового регулирования территориального развития (на примере Имеретинского региона Грузии)** / Экономика и производство (www.mte-eco.ru) / №6 , 2003. (1 პ.ლ.)
<http://www.mte-eco.ru/www/toim.nsf/0fe6b5814f9a50d4c325670100241dca/cad717950af6c326c3256d2f00224b62>
12. **იმერეთის რეგიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მიმართულებათა შესახებ**.– სამეცნიერო კრებულში “საქართველოს რეგიონების ეკონომიკური და სოციალური

- განვითარების ძირითადი მიმართულებები გარდამავალ პერიოდში”, ბათუმი-თბილისი, 2001, (0,75 წ.თ.)
13. *რეგიონის საგადასახადო პოტენციალის შეფასების საკითხისათვის*. – ჟ. “გადასახადები”, 2003, №11-12, (0,4 წ.თ.)
 14. *Модель оценки экономической политики управления региона (территориальной единицы)* / Экономика и производство (www.mte-eco.ru) / Москва, 2003, №9, (1 п.л.) <http://www.mte-eco.ru/www/toim.nsf/0fe6b5814f9a50d4c325670100241dca/012863132c10e36ec3256d8a00272ad2>
 15. *საშემოსავლო გადასახადის როლი რეგიონის ბიუჯეტში*. – “ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე”, თბილისი, 2001, ტ. IX-X (0,5 წ.თ., თანაავტორობით, ავტორის წვლილი 0,3 წ.თ.)
 16. *Инвестиционная привлекательность Имеретинского региона Грузии* / Экономика и производство (www.mte-eco.ru) / Москва, 2003, №5. (1 п.л.) <http://www.mte-eco.ru/www/toim.nsf/0fe6b5814f9a50d4c325670100241dca/a2cc6226f316543bc3256d1d00463202>
 17. *რეგიონის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზირების საკითხისათვის*. – ჟ. “ეკონომიკა”, 1999, №8-9, (0,5 წ.თ., თანაავტორობით, ავტორის წვლილი 0,3 წ.თ.)
 18. *მარკეტინგის სწავლების საკითხისათვის*. – ჟ. “ეკონომიკა”, 1995, №12, (0,3 წ.თ.)
 19. *თანამედროვე პირობებში სოციალურ-ეთიკური მარკეტინგის საკითხისათვის*. – კრებულში “რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები”, ქუთაისის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი, 1999, (0,4 წ.თ.)
 20. *ბიზნესის და მარკეტინგის დაგეგმვის საკითხისათვის*. – “ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე”, თბილისი, 1995, ტ. I (0,3 წ.თ.)
 21. *იმერეთის რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის აქტუალური საკითხები*. – V საერთაშორისო ბიზნეს-კონფერენცია “დიდი აზრეშუმის გზა”, მოხსენებათა თეზისები, ქუთაისი, 2000. (0,5 წ.თ.)
 22. *The ways for regulation of inter budgetary relations and increasing efficiency of the tax potencial of the region in the conditions of market economy (on example of Imereti region)* / Economy and Manufacture (www.mte-eco.ru) / Issue No 9, Moscow 2003, 10 pg. <http://www.mte-eco.ru/www/toim.nsf/0fe6b5814f9a50d4c325670100241dca/82e4275d722ab65c3256d8700200188>
 23. *რეგიონულ დონეზე საფინანსო რეგულირების ბერკეტების შესახებ* – საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ოფიციალურ გამოცემათა სამსახური, დიდი ეკონომიკური ფორუმის მასალები, ქუთაისი, 2002, (0,4 წ.თ. ავტორის წვლილი 0,2 წ.თ.)
 24. *რეგიონის კონსოლიდირებულ ბიუჯეტში საშემოსავლო გადასახადის ფორმირების საკითხისათვის*. – ახალგაზრდა მეცნიერთა ასოციაციის I რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2003. (0,4 წ.თ.)
 25. *საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფასთან დაკავშირებული ზოგიერთი რეგიონული ასპექტი* – ჟ. “გადასახადები”, 2004, №2, (0,4 წ.თ.)
 26. *Vital issues of formation of financial resources of the region (on the case of imereti region)* / Economy and Manufacture (www.mte-eco.ru) / Issue No 1, Moscow 2004, 7 pg. <http://www.mte-eco.ru/www/toim.nsf/0fe6b5814f9a50d4c325670100241dca/87d74dbe9a9d9f07c3256e130042324e>
 27. *Основные проблемы финансовых отношений территориальных единиц Грузии* / Российский экономический интернет журнал (მოსკოვის შრომისა და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის ელექტრონული ჟურნალი_ <http://www.e-rej.ru/e-rej.htm>) 09.03.2004. 0,4 п.л. (<http://www.e-rej.ru/Articles/2004/Cikhladze.pdf>)
 28. *რეგიონის საბიუჯეტო შემოსავლების პროგნოზირების საკითხისათვის*. – ჟ. “მაკრო მიკრო ეკონომიკა”. 2004, №3. (0,3 წ.თ.)
 29. *Некоторые исторические аспекты бюджетных отношении в Грузии*. / Российский экономический интернет журнал (მოსკოვის შრომისა და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის ელექტრონული ჟურნალი_ <http://www.e-rej.ru/e-rej.htm>) 07.04.2004. 0,6 п.л. (<http://www.e-rej.ru/Articles/2004/Cikhladze.1.htm>)
 30. *რეგიონებში მცირე საწარმოთა ფუნქციონირების საკითხისათვის* – ჟ. “გადასახადები”, 2004, №9, (0,4 წ.თ.)

31. *Региональные вопросы инвестиционной привлекательности* / Управление общественными и экономическими системами. Электронный многопредметный научный журнал (ორიოლის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის ელექტრონული ჟურნალი) <http://bali.ostu.ru/umc/arhiv/2004/1/Chihladze.doc/> / №1, 2004. (1 ნ.თ.)
32. *საქართველოში ახალი საგადასახადო სისტემის ფორმირების საკითხისათვის* – ახალგაზრდა მეცნიერთა ასოციაციის II რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2004. (0,4 ნ.თ.)
33. *Региональные аспекты финансового регулирования территориального развития (на примере Имеретинского региона грузии)* / Известия Челябинского научного центра (УрО РАН) http://csc.ac.ru/LANG=ru/news/2004_3/2004_3_15_2.pdf / №3 (24) , 0,6 პ.ლ.
34. *Региональные аспекты функционирования малых предприятия* / Международный журнал «Проблемы теории и практики управления», М.: 2004, №5. (0,5 პ.ლ.)
35. *ექსტრაპოლაციის მეთოდით რეგიონის საბიუჯეტო შემოსავლების პროგნოზირების საკითხები* / ჟ. “ფინანსები”. 2005. №1. (0,4 ნ.თ.).
36. *ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საკანონმდებლო რეგულირების რეგიონული ასპექტები* – ჟ. “საქართველოს ეკონომიკა”. 2006, №1. (0,25 ნ.თ.)
37. *ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი* : გაეროს განვითარებისა და ევროკავშირის პროექტი "საქართველოს პარლამენტის საქმიანობის ეფექტიანობისა და ტრანსპარენტობის გაუმჯობესება" / [ავტ. ჯგ.: ნიკო ჩიხლაძე, დავით კლდიაშვილი, ოლეგ ტორაძე] ; საქ. პარლამენტი - [თბ., 2005] : ქუთაისის სს "მანდარიას სტამბა" - 32გვ. UDC: 336.14:352
38. *ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების საკანონმდებლო უზრუნველყოფის საკითხისათვის* ჟ. “ფინანსები”. 2005. №3. (0,4 ნ.თ.).
39. *ჩრდილოვანი ეკონომიკის რეგიონული გამოვლინებების საკითხისათვის* – ჟ. “ეკონომიკური პროფილი”. 2006. №1. (0,3 ნ.თ.)
40. *რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის ფორმირების აქტუალური საკითხები* – ჟ. “ეკონომიკური პროფილი”. №2, 2007 (თანაავტორობით, 0,3 ნ.თ.)
41. *ეკონომიკურ ურთიერთობებში მართლმადიდებლურ ფასეულობათა გააზრების ზოგიერთი საკითხის შესახებ* – ჟ. “ეკონომიკური პროფილი”. №3, 2007 (0,5 ნ.თ.).
42. *რეგიონის და თვითმმართველი ერთეულების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის საკითხისათვის* სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის: “გამჭვირვალე ადგილობრივი ბიუჯეტი” შრომების კრებული, ქუთაისი, 2008. გვ. 143-151. <http://www.transparentbudget.ge/conference>
43. *ჩრდილოვანი ეკონომიკის ზოგიერთი საკითხის გააზრება მართლმადიდებლური მრწამსის მიხედვით* – ჟ. “ეკონომიკური პროფილი”. №4, 2008 (0,5 ნ.თ.).
44. *შრომისა და სამეწარმეო უნარის მართლმადიდებლური გააზრების საკითხისათვის* – ჟ. “ეკონომიკური პროფილი”. №5, 2009 (0,4 ნ.თ.).
45. *მცირე ბიზნესის მხარდაჭერის რეგიონული თავისებურებები საქართველოში* ჟ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“. №3, 2009 (0,3 ნ.თ.)
46. *საქართველოს რეგიონების ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შერჩევის საკითხისათვის*, ჟ. “მენეჯმენტი და ბიზნესი”, №1, 2009 წ.
47. *გადასახადებისა და დაბეგვრის მართლმადიდებლური საწყისები*. ჟ. “ბიზნესი და კანონმდებლობა”, თბ. ნოემბერი, 2009. გვ. (0,3 ნ.თ.)

მაღალი რეიტინგის მქონე იმპაქტ-ფაქტორის ჟურნალებში:¹

¹ საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოსა http://www.acnet.ge/ses/journals/diskete_N4/russian_journals.html და რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საატესტაციო კომისიის მიხედვით (<http://vak.ed.gov.ru/ru/list/>)

48. **Исторические и правовые аспекты бюджетных отношений в феодальной Грузии** /История государства и права/ №6, 2005 (0,3 п.л.)
49. **Некоторые актуальные вопросы финансового регулирования регионального развития (на примере имеретинского региона Грузии)** / Финансы и кредит / №23 (191), 2005 (0,7 п.л.) http://www.fin-izdat.ru/journal/fc/oldlist.php?SECTION_ID=1013
50. **Актуальные вопросы формирования новой налоговой системы в Грузии** / Финансы и кредит /№26 (194), 2005 (0,7 п.л.) http://www.fin-izdat.ru/journal/fc/oldlist.php?SECTION_ID=1016
51. **Актуальные вопросы либерализации внешнеэкономических отношений Грузии в современных условиях** / Финансы и кредит /№31 (235), 2006 (0,7 п.л.) http://www.fin-izdat.ru/journal/fc/list.php?SECTION_ID=404
52. **К вопросу укрепления финансовой базы регионов и территориальных единиц Грузии** / Региональная экономика: теория и практика / август, 2010 (0,4 п.л.) (ჩაშვებულის დასაბუქდად)

9. ბოლო 10 წლის განმავლობაში სადოქტორო პროგრამის თემატიკასთან დაკავშირებული პუბლიკაციები (თან ერთვის);

10. სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა (სადოქტორო პროგრამის თემატიკას უკავშირდება ყველა კონფერენციაში მონაწილეობა, 10.1. პუნქტის გარდა):

- 10.1. ქუთაისი, 1999 წელი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები”, ქუთაისის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი. მოხსენება: “თანამედროვე პირობებში სოციალურ-ეთიკური მარკეტინგის საკითხისათვის”
- 10.2. ქუთაისი, 2000, 1-3 მაისი. V საერთაშორისო ბიზნეს-კონფერენცია “დიდი აბრეშუმის გზა და საქართველო”. მოხსენება: “იმერეთის რეგიონის ეკონომიკის განვითარების ძირითადი ტენდენციების შესახებ”
- 10.3. ბათუმი, 2001 წელი. რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია “საქართველოს რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებები გარდამავალ პერიოდში”. მოხსენება: “იმერეთის რეგიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მიმართულებათა შესახებ”
- 10.4. ქუთაისი, 2003. ახალგაზრდა მეცნიერთა ასოციაციის I რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია. მოხსენება: “რეგიონის კონსოლიდირებულ ბიუჯეტში სამშენობლო გადასახადის ფორმირების საკითხისათვის”.
- 10.5. ქუთაისი, 2004. ახალგაზრდა მეცნიერთა ასოციაციის II რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია. მოხსენება: “საქართველოში ახალი საგადასახადო სისტემის ფორმირების საკითხისათვის”.
- 10.6. ქუთაისი, 2008. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის: “გამჭვირვალე ადგილობრივი ბიუჯეტი”, მოხსენება: “რეგიონის და თვითმმართველი ერთეულების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის საკითხისათვის” <http://www.transparentbudget.ge/conference>
- 10.7. ქუთაისი, 2008. საერო ინსტიტუტი გელათი. საერთაშორისო კონფერენციის მასალები. მოხსენება: “ქუთაისის რესურსული პოტენციალი და ზოგიერთი პრიორიტეტული მიმართულება”
- 10.8 ქუთაისი, 2008. ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი. პროფესორ-მასწავლებელთა IX სამეცნიერო კონფერენცია. მოხსენება: “ადგილობრივი ბიუჯეტის გამჭვირვალობის აქტუალური საკითხები”
- 10.9 Российская Федерация, г. Пятигорск. 5-6 марта 2009 г. Международная Академия Финансовых технологий. Международная Научно-практическая конференция “Актуальные проблемы экономики и совершенствования правового регулирования в экономике”. доклад: Роль малых предприятия в развитии регионов Грузии
- 10.10 ხულო-დიდაჭარა, 2009 წლის მაისი. საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტი, სხალთის ეპარქია. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “დიდაჭარობა”. მოხსენება: “წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის ეკონომიკურ შეხედულებათა შესახებ”
- 10.11. ქუთაისი, 2009 წლის 16-17 მაისი. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის “გლობალიზაცია, მსოფლიო კრიზისი და სამხრეთ კავკასია”. მოხსენება: “საქართველოს რეგიონების ფისკალური ავტონომიის გაფართოების საკითხისათვის”

10.12. **Российская Федерация, г. Екатеринбург, 2009 г.** VII Всероссийская конференция молодых ученых по институциональной экономике. Уральское отделение Российской Академии наук. Институт экономики УрО РАН

доклад: **«ОСНОВНЫЕ ОРИЕНТИРЫ СТРАТЕГИИ РЕГИОНАЛЬНОГО РАЗВИТИЯ В ГРУЗИИ».**

10.13. **ხულო-დიდაჭარა, 2009 წლის მაისი.** საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტი. წმ. ტბელ აბუსერისძისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია.

მოხსენება: *„ჩრდილოვანი ანტიეკონომიკის მართლმადიდებლური სწავლების საკითხისათვის„*

10.14. **თბილისი, 2010 წლის 25 იანვარი.** ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. V სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია **“ქრისტიანობა და ეკონომიკა”**

მოხსენება: *„მოხმარების ზოგიერთი ძირითადი ასპექტი ქრისტიანულ და ეკონომიკურ სწავლებათა მიხედვით“*

10.15. **ქუთაისი, 2010 წლის 1-2 მაისი.** საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია **“რეგიონალიზაცია, თანამედროვე რეგიონული ეკონომიკური და სოციალური პროცესები”.**

მოხსენება: *სატრანსფერო პოლიტიკა და რეგიონების ფინანსური მხარდაჭერის აქტუალური საკითხები საქართველოში (იმერეთის მხარის მაგალითზე).* (თანაავტორობით).

10.16. **ბათუმი, 2010 წლის 16-17 აპრილი.** საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია **“ინოვაციები ბიზნესში”.**

მოხსენება: *„თანამედროვე მიდგომები რეგიონის ინვესტიციური მიმზიდველობის შეფასებისადმი“.* (თანაავტორობით)

10.17. **5 – 6 June 2010, Batumi / Trabzon.** 1st International Scientific-Practical Conference, Tourism: Economics and Business”

„FACTORS CAUSING THE DEVELOPMENT OF TOURISM IN IMERETI REGION“

